shind

მარკეტინგული კომპანია შინდი
ზ. გორგილაძის ქ. 59. ბათუმი

აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
რამაზ ბოლქვაძე

ბატონო რამაზ,

გაცნობებთ, რომ აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და შპს „შინდს" შორის, 2018 წლის 29 იანვარს გაფორმებული N16 ხელშეკრულების თანახმად, ჩვენმა კომპანიამ, აჭარის საინვესტიციო შესაძლებლობების მარკეტინგული სამოქმედო გეგმის შექმნის ვალდებულება აიღო.

გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება კომპანიამ სრულად უზრუნველყო. შესრულებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 4 950 (ოთხიათასცხრაას ორმოცდაათი) ლარს.

აღნიშნულ წერილს თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი.

გთხოვთ, ჩაიბაროთ.

დირექტორი:

დავით მახარაძე

საქართველო, შპს
შინდი
ShinDi
ADVERTISING COMPANY
445463935
GEORGIA, LIMITED

27 მარტი, 2018

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
შემოსული კორესპონდენცია
№ 01-01-09/2098 29-03 2018
ფურცლების რაოდენობა 2

# მიღება-ჩაბარების

# აქტი

**27 მარტი 2018 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი შპს „შინდი"-ს დირექტორი დავით მახარაძე ერთის მხრივ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ვახტანგ ჭეიშვილი და ამავე დეპარტამენტის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლაშა ფირცხალავა - მეორეს მხრივ, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მიმდინარე წლის 15 მარტს (შემოსული კორესპონდენცია №01-91-09/1768) პირველმა მხარემ ჩააბარა, ხოლო მეორემ ჩაიბარა 2018 წლის 29 იანვარს გაფორმებული №16 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაზრის კვლევისა და მარკეტინგული გეგმის შედგენასთან დაკავშირებული მომსახურება.

მომსახურების საერთო ღირებულებამ შეადგინა 4950 ლარი.

მომსახურება მიღებულია და პრეტენზიები არ არსებობს.

**შპს „შინდი"-ს დირექტორი:** დ. მახარაძე

**დეპარტამენტის უფროსი:** ვ. ჭეიშვილი

**განყოფილების უფროსი:** ლ. ფირცხალავა